# 23—26 აგვისტოს


ირმა ყიფშიძე.


თინათინ ნადირაშვილი.


ნატო ლეშკაშელი.

**გვიახლოვდება სილამაზის, ჰარმონიის, გრაციის დიდი ზეიმი — მხატვრულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის თასის გათამაშება და ქვეყნის ჩემპიონატი. როგორც უკვე გაუწყეთ, ამ შეჯიბრებაში სსრ კავშირის უძლიერესი ტანმოვარჯიშე მიიღებს მონაწილეობას, თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე გამოვლენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც — ირმა ყიფშიძე, თინათინ ნადირაშვილი და ნატო ლეშკაშელი.**


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 აგვისტო, კვირა, 1987 წ.
№ 159 (9570) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


**„შევიმუშაოთ და 1989 წელს დავნერგოთ მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის ერთიანი პროგრამა, ამასთან განვსაზღვროთ მეცნიერულად დასაბუთებული ნორმები და მოთხოვნები სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ფიზიკური მომზადებისა და აქტიური მოძრაობისადმი".**

სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტიდან.

# ჯანმრთელობის პერსპექტივეში

**გუშინ** პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროექტი „სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარდაქმნის მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები".

პარტიასა და სახელმწიფოს უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიაჩნია საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა და გაკაჟება, მათი სიცოცხლისა და შემოქმედებითი აქტიურობის გახანგრძლივება, სამედიცინო დახმარების ხარისხის კარდინალური გაუმჯობესება.

ხალხის ჯანმრთელობა ქვეყნის სიმდიდრეა! ჩვენს ქვეყანაში ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზრუნვა მთლიანად შეესაბამება ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს, პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობასთან. პროექტში ფართოდაა ასახული კომპლექსური ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებას.

ჯანმრთელობის დაცვის საერთო-სახალხო სისტემაში განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, როგორც მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღების, დაავადებათა პროფილაქტიკის ეფექტურ საშუალებას. სწორედ ამიტომ პროექტში გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური ფუნქციის შემდგომ ამაღლებას.

გთავაზობთ ამონაწერს ძირითადი მიმართულებების პროექტიდან:

**„მეთორმეტე-მეცამეტე ხუთწლედებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შემოვიღოთ ფიზიკური აღზრდის დამატებითი გაკვეთილები, რათა სკოლის გარეშე მეცადინეობის გათვალისწინებით მოსწავლეთა და სტუდენტთა მოძრავი დატვირთვა შეადგენდეს სულ ცოტა 6-8 საათს კვირაში. გავაფართოოთ სპორტული სექციების ქსელი საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან. საცხოვრებელ ადგილებში შევქმნათ სამეურნეოანგარიშიანი გაერთიანებები „ფიზკულტურა და ჯანმრთელობა". გავზარდოთ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ნაგებობათა გამოყენების ეფექტიანობა. პროფკავშირებისა და შრომითი კოლექტივების სახსრების ხარჯზე (მათი თანხმობით) შევქმნათ ჯანმრთელობის ცენტრები, მათ შორის სამეურნეო-ანგარიშიან საფუძველზე, და ფართოდ გამოვიყენოთ ფიზიკური წვრთნის, ფსიქოლოგიური კორექციის, რეფლექსოთერაპიისა და აღდგენითი მკურნალობის სხვა მეთოდები.**

**ძირეულად გარდავქმნათ მოსახლეობის ფიზიკური განვითარების სრულყოფისათვის ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის ორგანოების მუშაობა და გავაუმჯობესოთ მათი თანამოქმედება.**

**თანამედროვე პირობებში პროფილაქტიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სანიტარულ-ჰიგიენური ცოდნის აქტიური პროპაგანდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად უნდა გაზარდონ სატელევიზიო და რადიოგადაცემების, საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციების რიცხვი მოსახლეობის ჰიგიენური აღზრდისა და სანიტარული განათლების საკითხებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმას, რომ მასალები იყოს გასაგები და დამაჯერებელი. ფართოდ გააშუქონ პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელებისათვის მუშაობის გამოცდილება".**

სსრ კავშირის თასი რეგბიში

# ზეიმობდა მთელი ქალაქი

**ქუთაისი. 18 აგვისტო. ცენტრალური სტადიონი. 15 000 მაყურებელი. „მშენებელი" (ქუთაისი) — სხა (მონინო) 12:8 (12:8).**

**„მშენებელი": ძაგნიძე, გაბრიჩიძე, ხამაშურიძე, ხარშილაძე, ძოწენიძე, გიორგაძე, ლოსაბერიძე, ნაჭყებია, ფხაკაძე (შავნგირაძე), თხელიძე, გრიგალავა, წიფწივაძე, ლილუაშვილი, ტურძელაძე, ობოლაძე.**

**სხა: ბობროვი, ვოროხოდოვი, ნეჩაევი (კასატკინი), რომანოვი, მირონოვი, ვოროპაევი, კორნიენკო, ტიხონოვი, ოვჩინიკოვი, კუშნარიოვი, ბორისოვი, ლუკიანოვი, პერეპელკინი, ივანოვი, ფიოდოროვი, ნოსიაკოვი.**

**მსაჯი ალფონს გრუმბინასი.**

**...თამაში** ქუთაისელმა რეგბისტებმა დაიწყეს და პირველივე აუტის შემდეგ მონინოელებმა საკუთარი 22-მეტრიანი ზონიდან დააპირეს „საფირმო" შეტევის წამოწყება, მაგრამ აქ ოსტატურად ითამაშა ქართული რეგბის ვეტერანმა მიხეილ ხარშილაძემ. მან შეძლო სტუმართა შეტევის მიმართულების გამოცნობა, ნახტომში ჩაჭრა გადაცემა და ბურთი სწრაფად გადააწოდა ნაჭყებიას. გამოცდილმა სპორტსმენმა ალღო აუღო შექმნილ ვითარებას, სწრაფი რეიდი განახორციელა, მძლავრი ბიძგით დააღწია თავი მეტოქის ორ მცველს და ეფექტური, და რაც მთავარია, აგრერიგად საჭირო ლელო გაიტანა. საკმაოდ მახვილი კუთხიდან ძაგნიძემ ზუსტად გამოიყენა რეალიზაცია — 6:0! ასეთ დასაწყისს არავინ ელოდა, მათ შორის არც თავად ჩემპიონი და თასის მფლობელი მონინოელები.

ამ პრინციპული მატჩის პროლოგში მოპოვებულმა სათამაშო და ტერიტორიულმა უპირატესობამ მასპინძლებს რწმენა შემატა და აშკარა ფსიქოლოგიური უპირატესობა მოუტანა.

სტუმრებმა ვერაფერი დაუპირისპირეს მასპინძელთა თავგანწირულ თამაშს. მათი იერიშები დროული



იხ. მე-2 გვ.



# სსრ კავშირის თასი

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩები ფეხბურთში.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ლენინგრადის „ზენიტი", რომელთანაც პირველი მატჩი სტუმრად ფრედ ჰქონდათ დამთავრებული — 0:0. განმეორებით მატჩში თბილისელებმა მიაღწიეს გამარჯვებას — 1:0 და მეოთხედფინალში გავიდნენ.

სოხუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და ხარკოვის „მეტალისტი" (პირველ მატჩში ხარკოველებმა თავიანთ მინდორზე გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0).

თამაში სოხუმში დამთავრდა ხარკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

გუშინვე გაიმართა მერვედფინალის სხვა საპასუხო მატჩები: „ტორპედო" (მოსკოვი) — ცსკა 4:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „არარატი" (ერევანი) 4:1, „კუზბასი" (კემეროვო)—„ნეფთჩი" (ბაქო) 1:0.



# თენგიზ თედორაძე—მსოფლიო ჩემპიონი

**იუნიორთა** სხვადასხვა ჩემპიონატებში ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეები (კლასიკური სტილის წარმომადგენლებს ვგულისხმობთ) მუდამ წარმატებით გამოდიოდნენ, მაგრამ ასეთი უხვი „ნადავლი" მსოფლიო ჩემპიონატებიდან, თუ არ ვცდებით, არასდროს წამოუღიათ. კანადის ქალაქ ბერნაბიუში ოქროს მედალი ერთბაშად რვა საბჭოთა მოჭიდავემ დაისაკუთრა. ეს, რა თქმა უნდა, სარეკორდო მაჩვენებელია.

როგორც ვიუწყებოდით, ამ ტურნირის ერთ-ერთი ლაურეატი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი თენგიზ თედორაძე გახდა, რომელიც 100 კგ წონის ათლეტთა ტურნირში ასპარეზობდა. თენგიზ თედორაძე (დაიბადა 1967 წელს ბათუმში) არ არის ახალბედა მოჭიდავე, მაგრამ თითქმის ყველა წარმატება მას 90 კგ წონაში აქვს მოპოვებული.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის დავით დავითაიას აღსაზრდელმა პირველ სერიოზულ გამარჯვებას 1984 წელს მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაზე მიაღწია. მერე მან ბევრი ტურნირი და ჩემპიონატი მოიგო, მათ შორის ჭაბუკთა I საკავშირო თამაშები, „მეგობრობა-85"-ის საერთაშორისო ტურნირი, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული პირველობა, პოდუბნის საერთაშორისო მემორიალი, ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის... როგორც ხედავთ, მას ერთადერთი ტიტული აკლდა და ისიც მიიღო. თენგიზ თედორაძე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონია.

კანადის ქალაქში მასთან ერთად თავი გამოიჩინეს და ოქროს მედლები მოიპოვეს: ვოროშილოვგრადელმა ოლეგ კუჩერენკომ (48 კგ), ლენინაკანელმა ალასი მანუკიანმა (57 კგ), მოსკოველმა ზახრაბ აბასოვმა (62 კგ), ლენინაკანელმა მნაცაკან ისკანდერიანმა (68 კგ), მინსკელმა ნიკოლაი პალაზნიკმა (74 კგ), სარანსკელმა ნაილ ალმიაშევმა (82 კგ), ნოვოსიბირსკელმა ალექსანდრე კარელინმა (130 კგ).

ჩვენი გუნდის კიდევ ერთ წევრს სარანსკელ რავილ იბრაჰიმოვს (90 კგ) ბრინჯაოს მედალი ერგო. აქ ჩემპიონი რეინალდო პენა (კუბა) გახდა, ხოლო 52 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი ბულგარელმა ვასილ ბოტევმა მოიპოვა.

# ზეიმობდა მთელი ქალაქი

(დასასრული)

შებოჭვებით რამდენჯერმე ჩააზშეს მშენებლებმა, ხოლო როცა ჯერი საჯარიმოებზე მიდგა, ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო რეგბისტსა და ბომბარდირს იგორ მირონოვს ნერვებმა უმტყუნა და მან ზედიზედ სამჯერ ვერ გამოიყენა საჯარიმოს გატანის შანსი, რაც ძალზე იშვიათად ხდება. ეს მაშინ, როცა ნუგზარ ძაგნიძე შეუდარებელი იყო. მან ჯერ 23-ე წუთზე, შემდეგ 34-ზე, ზედიზედ ორჯერ შეაგდო საჯარიმო.

პირველი ტაიმის მიწურულს მონინოელებმა ბობროვს მიანდეს საჯარიმოს დარტყმა და ანგარიშში სხვაობა 3 ქულით შემცირდა.

შეხვედრის მეორე ნახევარში მატჩი უაღრესად დაიძაბა. შერკინებას შერკინება, შეტევას შეტევა მოსდევდა. მეტოქეები ხშირად ხელით თამაშობდნენ. ტაიმის შუამონაკვეთში სტუმრებმა ძალების მთელი მობილიზებით ასე თუ ისე შეძლეს თამაშის ქუთაისელთა ნახევარზე გადატანა, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა დაცვაშიც ოსტატურად იბრძოლეს — რამდენჯერმე თავგანწირული ნახტომით შებოჭეს წინგაჭრილი მეტოქე, ხუთმეტრიან ზონაში დანიშნული შერკინებებიც მოიგერიეს და ძნელი ორთაბრძოლის ბოლო წუთებში კვლავ გამოძებნეს ძალები შეტევაზე გადასასვლელად...

გაისმა მატჩის არბიტრის საფინალო სასტვენის ხმა, რომელმაც დიდი გამარჯვება, ქართული სპორტის კიდევ ერთი ახალი მიღწევა გვამცნო.



თავ...ახთ დიდ მიღწევას ზეიმობდნენ ქუთაისელი რეგბისტები, ისინიც, ვინც მოედანზე იყო ამ დღეს, და ისინიც, ვინც ოცი წლის განმავლობაში სჭედდა ამ გამარჯვებას.

ზეიმობდა სტადიონზე მოსული ათასობით გულშემატკივარი... ზეიმობდა მთელი ქალაქი, რომლის სპორტულ მატიანეში კიდევ ერთი ნათელი ფურცელი ჩაიწერა...

...სსრ კავშირის გმირმა, რეგბის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარემ, ავიაციის გენერალ-მაიორმა ვ. ს. ილიუშინმა სსრ კავშირის თა...ი საზეიმო ვითარებაში გადასცა ქუთაისელ რეგბისტებს.

...დიდხანს, დიდხანს გუგუნებდა სტადიონი, რომლის სარბენ ბილიკებზე ქუთაისელი სპორტსმენები პირველად ასრულებდნენ საპატიო წრეს სსრ კავშირის თასით ხელში...

მაშ ასე, 1987 წლის 13 აგვისტო...

სსრ კავშირის თასმა პირველი ღამე „გატეხა" ქუთაისში.

გვესაუბრება ვლადიმერ ილუშინი: „შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ რეგბის საკავშირო თასის გათამაშების ფინალურმა ეტაპმა გაამართლა. იგი სპორტის ნამდვილ ზეიმად იქცა, რაც უპირველეს ყოვლისა, ორგანიზატორების დამსახურებაა.

ყველა შეხვედრა საინტერესოდ, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა, მაგრამ ტურნირის კულმინაცია იყო გადამწყვეტი მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ დღეისათვის საბჭოთა რეგბის ლიდერები. ეს ამ უაღრესად დაძაბულმა და უკომპრომისო ორთაბრძოლამაც დაამტკიცა. მეტოქეებმა მაქსიმალური მობილიზება, მონდომება და ოსტატობა გამოავლინეს. მათ აჩვენეს ყველაფერი ის, რითაც ვაჟკაცური და მომხიბვლელია რეგბი. სხვათა შორის, ამაში სპორტსმენებს დიდად შეუწყო ხელი ვილნიუსელი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის ალფონს გრუმბინასის მაღალკვალიფიციურმა მსაჯობამ. მაგრამ ამ დღეს უფრო მიზანსწრაფულად „მშენებელი" გამოიყურებოდა და მისი შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. ქუთაისელებმა დამსახურებულად მოიპოვეს სსრ კავშირის თასი".

**თამაზ ხარაბაძე.**
(„ლელოს" საკ. კორ.).



რეგბისტები შესვენებაზე მოედანს არ ტოვებენ. ხუთი წუთით დასხდებიან მინდორზე, მოისმენენ მწვრთნელის დარიგებას და... კვლავ უშელავათო ბრძოლა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ „მშენებლის" რეგბისტებს და მათ დამრიგებელს დუგლას კავთელაშვილს, რომელიც შარშან საკავშირო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლოს დაინიშნა „მშენებლის" უფროს მწვრთნელად. მაშინ გუნდს უჭირდა, საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა სათუო გახდა. მაგრამ კავთელაშვილის ხელმძღვანელობით გუნდმა კრიზისსაც დააღწია თავი და წლევანდელ სეზონში ყველაზე დიდ წარმატებასაც მიაღწია. სხვათა შორის, დუგლას კავთელაშვილი ახლახან საბჭოთა კავშირის მეორე, პროფკავშირული ნაკრების მწვრთნელადაც მიიწვიეს ვლადიმერ ედკოსთან ერთად.

თემურ ჯავახაძის ფოტოები.

---

წერილმა გზად გვისტო

## ჯერ საქმე გააკეთონ, მერე იჩივლონ

**რედაქციაში** ერთი კვირის მანძილზე სამი ერთი და იგივე შინაარსის წერილი შემოვიდა ქარელის რაიონიდან (როგორც ჩანს, წერილის ავტორებმა თავი დაიზღვიეს — ერთი მაინც ხომ მიაღწევს ადრესატამდეო). ბრეთელები გულისტკივილით გვაუწყებდნენ, სოფელს ჰქონდა კარგი ფეხბურთის მინდორი, სჭიდაო არენა, მაგრამ ხუთი წელია არც ერთი სპორტული ღონისძიება არ ჩატარებულა, ნაგვით გაივსო აქაურობაო. შემოუღობავი მოედანი მანქანების სადგომად ქცეულა. ფიზკულტურის მეთოდისტს ეს არ აწუხებს, სოფლის სკოლის დირექტორმა კი ჩვენი კალათბურთელები სპორტული დარბაზიდან გამოაძევაო...

ქარელის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მურთაზ ნოზაძესთან და პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ვაჟა ყველაშვილთან ერთად ბრეთს ვეწვიეთ. გზად ჩვენი ყურადღება მიიპყრო მდინარე ფრონეს პირზე მოწყობილმა სალოლაშენის სპორტულმა კომპლექსმა (სალოლაშენი, ისევე როგორც ბრეთი, დედოფლის საბჭოთა მეურნეობაში შედის). ფეხბურთის მოედანზე მხოლოდ პირუტყვი დათარეშობს. ასევე ცუდ დღეშია ფეხბურთის მინდვრის უკან მოწყობილი ფრენბურთის მოედანიც.

ბრეთის სპორტულ კომპლექსზე, სალოლაშენისგან განსხვავებით, თავისუფლად დაქროდნენ მანქანებიც. ფრენბურთის მოედანი კი ეკლიანი ბალახითაა გადავლილი.

სკოლასაც ვეწვიეთ. აი, რა გვითხრა დირექტორმა გივი ედილაშვილმა.

— სკოლაში 35 წელია ვმუშაობ და თუ სოფლისთვის ვინმეს გული შესტკივა, ერთი მათგანი მეც ვარ. რამდენიმე თვის წინ სოფლის ფიზკულტურის მეთოდისტმა ზაურ მზექალაშვილმა მთხოვა კალათბურთელებისთვის უფლება მიმეცა სალამოს დარბაზში ევარჯიშათ. თავიდან ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მაგრამ სპორტული დარბაზი თანდათან უსაქმურების ბუდედ გადაიქცა. ისინი აბინძურებდნენ დარბაზს, თამაშობდნენ ბანქოს, ჩაამტვრიეს მინები, დაჭრეს ხარიხა და ტაიჭი. თამბაქოს ნამწვით ივსებოდა იქაურობა. დამლაგებელმა რამდენჯერმე შამპანურის ცარიელი ბოთლები და ნასუფრალიც ნახა. მოძალადეები დარაჯსაც კი არ ეპუებოდნენ. იძულებული გავხდი ამეკრძალა ასეთი „ვარჯიში".

დირექტორს სკოლის რამდენიმე თანამშრომელმაც დაუკრა კვერი. წერილის ავტორები მოვიკითხეთ, მაგრამ ყველამ უარყო, წერილისთვის მე არ მომიწერია ხელიო. თუმცა ის კი აღიარეს, რომ სპორტულ დარბაზში მართლაც შედიოდნენ უსაქმურები...

დედოფლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის სიმონ ბერუაშვილის კაბინეტში გამოსაჩენ ადგილზე ეწყო ამ სოფლის სპორტსმენთა მიერ ფეხბურთში და ჭიდაობაში მოპოვებული თასები. რაიონის სპორტის თავკაცებმა გზაშივე გვითხრეს, დირექტორი ყოველნაირად უწყობს ხელს მეურნეობის სპორტსმენებსო. მეურნეობის ფეხბურთელები რაიონული შეჯიბრება „ოქროს თავთავის" შვიდგზის გამარჯვებულები არიან, რამდენიმე მათგანი კი ქარელის „იბერიის" გუნდის ღირსებას იცავსო.

— მოედნები, მართლაც მოუვლელია, მაგრამ ამ საქმეს მალე დავადგამ თავს. — გვითხრა სიმონ ბერუაშვილმა — რაც შეეხება ახალგაზრდების გულისტკივილს, რას ვერჩით, მართალი არიან. სამწუხაროდ, ფიზკულტურის მეთოდისტმა ზაურ მზექალაშვილმა დაგვალალატა, უკვე მეორე თვეა სამსახურში არ ცხადდება. თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას. გამოჩნდება თუ არა, გავათავისუფლებთ სამსახურიდან.

დიახ, დამნაშავე ფიზკულტურის მეთოდისტია. თუმცა ვერც სოფლის კომკავშირელებს გავამართლებთ. ნაცვლად იმისა, რომ შეკრებილიყვნენ, ერთად ემსჯელათ ამ საკითხზე და პასუხი მოეთხოვათ დამნაშავისათვის, იოლი გზა მონახეს: წერილი აფრინეს რედაქციაში. გარდა ამისა არც იმის შეხსენება იქნება ზედმეტი, რომ სკოლა წმიდათაწმიდა ადგილია, სადაც უცხო კაცმაც კი ქუდი უნდა მოიხადოს. ნუთუ ბრეთელმა ახალგაზრდებმა დაივიწყეს ეს ჭეშმარიტება?

საუბარმა დედოფლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორთან იმაში დაგვარწმუნა, რომ ბრეთის და სალოლაშენის სპორტული კომპლექსი მალე მოწესრიგდება. იმის იმედიც გვაქვს, რომ ეს კომპლექსები შესაბამისად დაიტვირთება: იმუშავებენ სპორტული სექციები, გაიმართება შეჯიბრებები. ჩვენი მხრივ მზად ვართ კიდევ ერთხელ ვეწვიოთ ამ რაიონს მათი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაშუქებლად.

**ჯემალ კასრაძე.**
(„ლელოს" სპეც. კორ.).
სოფ. ბრეთი, ქარელის რაიონი.

---

„ლელოს" კონტროლზეა

## ტემპი ხომ არ შენელდა?

**თბილისის** „ლოკომოტივის" საცურაო აუზის კაპიტალური რემონტის მიმდინარეობის შესახებ რამდენჯერმე უკვე მოგაწოდეთ ცნობა. ერთი თვის წინათ მშენებელთა შტაბის სხდომაზე ითქვა, დრო აღარ ითმენსო. თუმცა, ისიც აღნიშნეს, რომ მშენებლობა გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს და აუზი საექსპლოატაციოდ სექტემბერ-ოქტომბერში უნდა გადასცენ.

სამწუხაროდ, ამ ერთ თვეში შესამჩნევი ბევრი არაფერი გაკეთებულა. 50-მეტრიანი აუზის მოპირკეთების დამთავრებას ერთი თვის წინათაც ცოტა უკლდა. მას შემდეგ საქმე წინ არ წასულა. ახლაც სანახევროდ შესრულებული დაგვხვდა აუზისაკენ მიმავალი გვირაბის პორტალის მოზაიკური გაფორმება; არც ტრიბუნების რკინის კონსტრუქციების დამონტაჟება დაუმთავრებიათ და არც ბაზის ტერიტორიის ფილებით მოპირკეთება დაუწყიათ; მხოლოდ ადმინისტრაციული კორპუსი შეულესიათ და თუნუქით გადაუხურავთ, კიდევ რამდენიმე წვრილი სამუშაოა შესრულებული — ძველი ღობე მოურღვევიათ და რკინის მესერის ნაწილი შემოუზიდიათ, მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია. არადა, რემონტის დამთავრებამდე თვენახევარი დარჩა. თუ მშენებლებმა ისეთი ტემპით იმუშავეს, როგორც ამ ერთი თვის განმავლობაში, პირობას ალბათ ვერ შეასრულებენ.

ერთი შეხედვით თითქოს ბევრი არაფერი დარჩა გასაკეთებელი, მაგრამ ეს წვრილ-წვრილი სამუშაო საკმაოდ შრომატევადი ჩანს.

ერთი სიტყვით, იმისათვის, რომ ოქტომბერში აუზმა ფართოდ გაალოს კარი, მშენებლებს ფორსირებულად მოუხდებათ მუშაობა. ფორსირება კი ყოველთვის როდია სასურველი.

---

ფიზკულტურა ყველასთვის

## შრომისაგან თავისუფალ დროს

**დმანისის** რაიონის სოფელ განთიადში ხორბლის აღების სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ აქაურები სპორტული შეჯიბრებებისთვისაც პოულობენ დროს, განთიადის სტადიონზე წელს მეორედ გაიმართა სპორტული ზეიმი — თაობათა შეხვედრა. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო ძველი თამაშების ლახტისა და „მრგვალი ვირის" გახსენება-აღდგენა. გარდა ამისა, თანასოფლელები ერთმანეთს ქართულ ჭიდაობაში, ფეხბურთში და ფრენბურთშიც შეეჯიბრნენ.

სოფელ განთიადის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ (დირექტორი ა. ტატუაშვილი) შეჯიბრების მონაწილეთათვის სხვადასხვა პრიზები დააწესა. ლახტში ყველას აჯობა ამავე მეურნეობის მუშა გოჩა ახვლედიანის გუნდმა. შეჯიბრება „მრგვალი ვირი" კი მშენებელ-მეამწე ბ. მანთაშაშვილის ბიჭებმა მოიგეს. ქართულ ჭიდაობაში ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი მოიპოვა განთიადის საშუალო სკოლის მოსწავლემ გია დევნოზაშვილმა.

თუ წინა შეხვედრაში უფროსი თაობის ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს, ახლა მატჩი უმცროსებმა მო...გე... ანგარიშით 1:0.

სპორტული ღონისძიება ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩატარდა.

ტექსტი და ფოტო
**შალვა დევნოზაშვილისა.**



---

## რაიონული გაზეთის პრიზზე

გაიმართა ხაშურის პირველობა მინიფეხბურთში გაზეთ „გამარჯვების გზის" პრიზზე. სასპარეზოდ ქალაქის ქუჩებისა და უბნების 16 გუნდი შეიკრიბა. შეჯიბრება 64-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობდა, რომელმაც შეჯიბრებაზე დასწრების ყველა მსურველი ვერ დაიტია.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ოსიაურის „ბადაგაური" და ცხაკაიას ქუჩის „მეტეორი". ანგარიშით 6:3 გაიმარჯვეს ოსიაურელებმა, რომლებსაც საზეიმო ვითარებაში გადაეცათ გაზეთის პრიზი. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ფალიაშვილის ქუჩის „კოსმოსმა" შეძლო „იტრიის" დამარცხება — 4:3.

ტურნირის მონაწილეთათვის სურამის მინის ტარის ქარხანამ სპეციალური პრიზები დააწესა. მისი მფლობელები გახდნენ: თამაზ ბერიძე („მეტეორი") — საუკეთესო მოთამაშე, ოსიაურელები დავით ხაბელაშვილი — ტურნირის მთავარი ბომბარდირი და იაგო მახარაშვილი — ყველაზე ეფექტური გოლის ავტორი.

გადაწყდა, ტურნირი ყოველ წელს ჩატარდეს.

**გენადი კოშკაძე.**

# აღორძინე ტალანტი

ტურნირის ექო

ადამიანის გონებას არაერთი საგანძური შეუქმნია, ბევრი დიდებული საქმე განუხორციელებია. ყოველი ჩვენგანის უპირველესი მოვალეობაა იმ ტალანტის აღორძინება, რომელიც მოგვენიჭა და რომელიც უთუოდ ერის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ. ადამიანს, რომელიც სამშობლოს ფარგლებს გარეთ წარმოაჩენს თავის ნიჭს, დიდი მისია აკისრია, რადგან ის ერთგვარად მთელს ერს განასახიერებს.

მაია ჩიბურდანიძე ერთი იმათგანია, ვინც სამშობლოს თავის ტალანტით ემსახურება. მისი წარმატებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და არც არის საჭირო — ისედაც ყველამ ვიცით. ახლა უფრო დაწვრილებით მხოლოდ ბილბაოს ტურნირზე გესაუბრებით.

მაიას მიერ მოპოვებული III ადგილი ისეთი შემადგენლობის შეჯიბრებაში, როგორიც ბილბაოს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი იყო, საუკეთესო შედეგად აღიარეს ქალთა ჭადრაკის ისტორიაში. ამ ტურნირში ჩიბურდანიძეს მხოლოდ ანატოლი კარპოვმა და შვედმა ულფ ანდერსონმა გაუსწრეს. მაიამ „დაჩაგრა" ცნობილი დიდოსტატები — იუგოსლაველი ლიუბომირ ლიუბოევიჩი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილე ანდრეი სოკოლოვი, უნგრელი მოჭადრაკე ქალი ჟუჟა პოლგარი... ამას გარდა, მაიამ კიდევ ერთხელ შეასრულა დიდოსტატის ბალი ვაჟებში.

საინტერესოა, რომ ბოლო დრომდე დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ქალთა შორის უძლიერეს მოჭადრაკედ ჟუჟა პოლგარს თვლიდნენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს მაიამ თამაშის კლასით აშკარად შეარყია ჟუჟას ავტორიტეტი, ბილბაოს ტურნირში გამოსვლით კი სავსებით გააქარწყლა უნგრელი მოჭადრაკის შესახებ შექმნილი გაზვიადებული წარმოდგენა.

ბასკების ქვეყნიდან რომ დაბრუნდა, მსოფლიო ჩემპიონს მივულოცეთ ეს დიდი წარმატება და ვთხოვეთ გაეზიარებინა შთაბეჭდილებები.



**● ჭადრაკის მოყვარულთ იციან, რომ უკვე რამდენიმე წელია ბილბაო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს. თქვენ, მგონი, პირველად მიგიწვიეს ამ შეჯიბრებაზე.**

— დიახ, ბილბაოს ტურნირი ტრადიციულია, მაგრამ წლევანდელი შეჯიბრება ადრინდელთაგან ორგანიზაციით გამოირჩეოდა. საქმე ისაა, რომ დასავლეთში ტურნირებს, ჩვეულებრივ, სპონსორები აწყობენ, ბილბაოში კი ეს მისია ქალაქის მუნიციპალიტეტმა იკისრა. შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს. ვთამაშობდით ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, უზარმაზარ სპორტულ დარბაზში. თამაშის პროცესში სპეციალურ ელექტროდაფებზე უჩვენებდნენ პარტიებს. ეს კი იყო, მაყურებელი ვერ გვხედავდა, რადგან გამოსახულება დაფაზე მხოლოდ სიბნელეში ჩანდა და ამიტომ დარბაზი ჩაბნელებული იყო. შეჯიბრებამ ადგილობრივი მცხოვრებლების დიდი ინტერესი გამოიწვია. დარბაზი მუდამ ხალხით იყო გაჭედილი. ტურნირს სისტემატურად აშუქებდა ადგილობრივი პრესა, ტელევიზია...

**● ბასკეთის შესახებ რას იტყვით?**

— მდიდარი ქვეყანაა. გამოირჩევა ძალიან კარგი ბუნებრივი პირობებით. ლამაზი, ფერწერული მხარეა. ტურნირის დახურვის დღეს წაგვიყვანეს ბასკეთის უმშვენიერეს მთებში და სადილი იქ გაგვიმართეს. ბილბაო, ამ ქვეყნის დედაქალაქია, ძველისძველი ქალაქია, ამჟამად — ინდუსტრიული ცენტრი, თუ სან-სებასტიანი ზღვაოსნობის ცენტრია, ბილბაო და კატალონია წარმართავენ ქვეყნის მთელ ეკონომიკას.

თვით ბასკები მხიარული, სტუმართმოყვარე ხალხია. მათი ყველაზე საყვარელი გასართობია ხალხური ცეკვები, რომლებიც მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ზოგჯერ სიმღერის თანხლებითაც სრულდება. ბასკები იცავენ და უფრთხილდებიან ძველ ჩვეულებებსა და ტრადიციებს.

**● სპორტის რომელი სახეობები უყვართ ბასკებს ყველაზე მეტად?**

— მათ ცხოვრებაში, საერთოდ, დიდი ადგილი უკავია ხალხურ თამაშობებსა და სპორტს. თითქმის კულტად არის ქცეული ბურთისა და, კერძოდ, პელოტას თამაში. ბასკები ფეხბურთის ოსტატები არიან. ესპანეთის ნაკრებში, მაგალითად, მუდამ არის ოთხი ბილბაოელი და ორი ან სამი კატალონელი.

**● ცნობილია, რომ ძველთაგანვე არსებობს ვარაუდი ბასკებისა და კავკასიელთა, კერძოდ, ქართველთა გენეტიკური კავშირის შესახებ. საქართველოში ეს შეხედულება ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არსებობდა. რამდენად პოპულარულია იგი ბასკეთში და თქვენთან დამოკიდებულებაში ამ მხრივ თუ გამოამჟღავნეს რაიმე?**

— ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემდამი მართლაც დიდ ინტერესს იჩენდნენ ბილბაოელები, ძალიან უხაროდათ ჩემი წარმატება. რაც შეეხება ბასკებისა და ქართველების გენეტიკურ კავშირს, ეს შეხედულება იქაურ მოსახლეობაშიც არის გავრცელებული.

სიტყვამ მოიტანა და, აქედან სამ ქართველ აკადემიკოსთან — ნუგზარ კახნიაშვილთან, ჯუმბერ ლომინაძესთან და ოთარ კვეშიტაძესთან ერთად გავფრინდი. ისინიც ბასკეთს მიემგზავრებოდნენ. ბილბაოში სწორედ იმ დღეს ჩამოვიდნენ, როდესაც ლიუბოევიჩს ვხვდებოდი. ამან ძალიან გამახარა. პარტია დიდხანს გაგვიგრძელდა, მაგრამ მოვიგე.

**● ტურნირის მონაწილეებზე რას გვეტყვით?**

— კარპოვს, ანდერსონს, ლიუბოევიჩს და პოლგარს ჩემი წარდგენა არ სჭირდებათ, თუმცა ჟუჟას შესახებ ორიოდე სიტყვით შეგახსენებთ. როგორც იცით, დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში პოლგარი ძალიან პოპულარულია. ჟუჟამ მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ქალებში რომ ითამაშოს, დარწმუნებული ვარ, მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი ძლიერი პრეტენდენტი იქნება. ჩემი და პოლგარის პარტია დიდხანს გაგრძელდა, 4 საათში მხოლოდ 14 სვლა გავაკეთეთ. ჟუჟამ ყაიმი შემომთავაზა. მე უკეთესი პოზიცია მქონდა, მაგრამ გრძელი ვარიანტი ჩავიფიქრე, ამიტომ მცირეოდენი ფიქრის შემდეგ ყაიმზე დავთანხმდი.

ცნობილი დიდოსტატების გარდა, ტურნირში ოთხი ესპანელი მოჭადრაკეც მონაწილეობდა. თამაშის კლასით ისინი აშკარად ჩამორჩებიან შეჯიბრების სხვა მონაწილეებს, თუმცა ნიჭიერები არიან. მათ შორის გამოვარჩევ ოცდაერთი წლის ბასკ მოჭადრაკეს მიგუელ ილესკასს, რომელმაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**● კმაყოფილი ხართ თქვენი თამაშით?**

— სპორტული შედეგით კმაყოფილი ვარ, თამაშის შემოქმედებითი მხარით კი — მაინცდამაინც არა.

...მაია ჩიბურდანიძე, როგორც მოჭადრაკე, განუმეორებელია. ბილბაოში გამარჯვება მისი გონების დიდ პოტენციალზე მიუთითებს, რადგან ადამიანისგან არ გამომდინარეობს ის, რაც მასში არ არის.

**ია მელიძიძე.**

## I ლიგა

**13 აგვისტოს** მოსკოვში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 26-ე ტურის ბოლო მატჩი, ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" მიიღო ბათუმის „დინამო".

გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა — 1:0, ეს ერთადერთი ბურთი 85-ე წუთზე სტუმრების კარში გაიტანა კალაშნიკოვმა.

## დღეს იწყება



**როგორც ვიუწყებოდით, „ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშებას ნორჩ-ფეხბურთელთა შორის, რომელსაც საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ატარებს, თბილისისა და რუსთავის სტადიონები უმასპინძლებს. ასპარეზობა დღეს იწყება. შეგახსენებთ: 18 საათსა და 30 წუთზე თბილისში, გ. დიმიტროვის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან თბილისისა და მოლდავეთის გუნდები, „ლოკომოტივის" სტადიონზე კი საქართველოსა და რსფსრ-5 გუნდები. დასაწყისი 10 საათზე.**

## რივერა — პარლამენტის დეპუტატი

ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა ჯანი რივერამ, რომელიც ახლა 43 წლისაა, ახალი კარიერა დაიწყო, ამჯერად პოლიტიკური. იგი, როგორც ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, არჩეულია იტალიის პარლამენტის მილანელ წევრად.

## დერვალი რუმენიგეს ეპატიჟება

გფრ-ის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იუპ დერვალი 1982 წლიდან თურქეთში მუშაობს. მისი კლუბი „გალათასარაი" ახლა ქვეყნის ჩემპიონია. ამას წინათ დერვალმა მილიონი მარკა შესთავაზა გფრ-ის ნაკრების ყოფილ კაპიტანს კარლ-ჰაინც რუმენიგეს „გალათასარაიში" გადმოსაბირებლად. რუმენიგე 1986-87 წლების სეზონის დამთავრების შემდეგ მილანის „ინტერს" გამოეთხოვა, მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ახლა ისვენებს. მწვრთნელის წინადადებას რუმენიგემ გაურკვევლად უპასუხა: მოვიფიქრებო.

## „ჰოდლი — „მონაკოში"

გამოჩენილი ინგლისელი ფეხბურთელი, ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" ნახევარმცველი, 29 წლის გლენ ჰოდლი ახლა საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „მონაკოში" გადავიდა. ამ კლუბში იგი ითამაშებს მეორე ცნობილ ინგლისელ ოსტატ მარკ ჰეიტლისთან ერთად, რომელიც „მონაკოში" „მილანიდან" მოვიდა.

## იუსუფი — „პარტიზანის" მწვრთნელი

იუგოსლავიის ჩემპიონი გუნდის, „პარტიზანის" უფროს მწვრთნელად დაინიშნა წარსულში განთქმული ფეხბურთელი ფაჰრუდინ იუსუფი. იუსუფს უთამაშია მსოფლიოსა და ევროპის ნაკრებ გუნდებში, იუგოსლავიის ნაკრებში 55 მატჩი აქვს ჩატარებული, არის რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 1960 წელს ევროპის ჩემპიონატში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონატში კი მეოთხე ადგილი დაიკავა.

## საკონტროლო მატჩი

**დასავლეთ ბერლინში** გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის ეროვნული გუნდების საკონტროლო შეხვედრა. საფრანგეთის ფეხბურთელებმა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში სსრ კავშირის გუნდთან ერთად იმყოფებიან, მარცხი განიცადეს ანგარიშით 1:2. გამარჯვებულთაგან 2 ბურთი გაიტანა ფელერმა, ხოლო ფრანგების მხრივ — კანტონამ.

**ოსლო.** ნორვეგიისა და შვეციის გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.



## მკითხველი — გაზეთი

**● ახლა ბევრს ლაპარაკობენ საფეხბურთო კლუბების სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის თაობაზე, პრაქტიკულად კი ჯერ არაფერი ჩანს. საერთოდ, რატომ არ ვაღიარებთ, რომ ჩვენში ფეხბურთს პროფესიონალები თამაშობენ?**

**მიხეილ მაჭარაშვილი,**
თბილისი.

ამ შეკითხვაზე, ვფიქრობთ, ამომწურავ პასუხს იძლევა საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს უფროსი ვ. კოლოსკოვი, რომლის ინტერვიუ ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნდა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში".

აი, რას ამბობს ვ. კოლოსკოვი: „ჩვენ გვჭირდება მძლავრი კლუბების შექმნა, მაგრამ საქმე ეხება ამ კლუბების ფინანსურ წყაროებს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბაიერნი" მძლავრი კლუბია, იგი ბილეთების გაყიდვით ავსებს თავისი ბიუჯეტის 25 პროცენტს, დანარჩენს კი — ტელეგადაცემების, რეკლამის, კომერციული და სხვა საშუალებებით. ჩვენში ამგვარი რამ მიუღებელია. ტელევიზია, როგორც იცით, საბიუჯეტო ორგანიზაციაა და იგი კლუბებს კაპიკსაც ვერ მისცემს, სარეკლამო მანიპულაციები კი ჩვენი სპორტსმენებისთვის დაუშვებელია. ე. ი. საჭიროა რაღაც სხვა წყაროების ძებნა. ჩვენი გუნდები ჯერჯერობით დოტაციაზე იმყოფებიან, ისინი საკმაოდ დამოუკიდებელნი არიან, თუმცა მათი მწვრთნელები და ხელმძღვანელები ჯერ ვერ იყენებენ თავიანთ უფლებებს.

ახლა რაც შეეხება პროფესიონალიზმს. აქ მთავარია ტერმინებში გავერკვეთ. პროფესიონალი ფეხბურთელი კონტრაქტს დებს კლუბთან, რის შემდეგ იგი ფაქტიურად აღარ ეკუთვნის საკუთარ თავს. ამაზე ჩვენ არ წავალთ. ყოველი ჩვენი ფეხბურთელი თავისუფალი პიროვნებაა და საკუთარ ბედ-იღბალსაც თვითვე განაგებს. დიახ, ჩვენი მოთამაშეები არსებითად მხოლოდ ერთი საქმით არიან დაკავებულნი — ფეხბურთით, მაგრამ ჩვენში არსებული მდგომარეობა სრულად შეესაბამება ოლიმპიურ ქარტიას, სადაც ნათქვამია, რომ შეჯიბრებისთვის მზადების პერიოდში სპორტსმენმა არავითარი მატერიალური ზარალი არ უნდა განიცადოს. რაც შეეხება პროფესიულ მიდგომას საქმისადმი, ეს უკვე სულ სხვა საქმეა, ასეთ დამოკიდებულებას უნდა მივესალმოთ".

## ბერნდ შტანგე: „ბრძოლა შკომპრომისო იქნება"

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მეტოქეა გდრ-ის ნაკრები. გთავაზობთ ინტერვიუს ამ გუნდის უფროს მწვრთნელ ბერნდ შტანგესთან.**

**⊙ იყო თუ არა თქვენი დასვენება, დასვენება ფეხბურთის გარეშე?**

— არავითარ შემთხვევაში. ოჯახთან ერთად პოტსდამსა და საქსონიის შვეიცარიაში ყოფნისას ჩემს გარშემო ფეხბურთის უამრავი თაყვანისმცემელი იყრიდა თავს. ისინი ბევრ შეკითხვას მაძლევდნენ. ეს შეხვედრები საქმიანი და სასიამოვნო იყო.

**⊙ შემდგომში რა შემადგენლობით აპირებთ ამხანაგური და საერთაშორისო მატჩების ჩატარებას?**

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ახალი სეზონის დაწყებამდე გუნდის წევრები თავიანთ კლუბებში ვარჯიშობდნენ, თუ როგორია მათი მომზადების დონე, ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება. ვაპირებთ მათ გამოყვანას, ვინც ისლანდიელებთან მატჩში ითამაშა. ალბათ გახსოვთ, მაშინ 6:0 მოვიგეთ. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა..

**⊙ როგორ ფორმაშია ნაკრები ახლა?**

— მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გუნდი არ განიცდის თაობათა ცვლის მძიმე პროცესს, ძირითადი შემადგენლობა პრობლემას არ მიქმნის, არც ახალი თაობაა ურიგო. ეს მწვრთნელს დიდ გარანტიას აძლევს. მაგრამ ნაკრების თითოეულ წევრს მკაცრი გამოცდა ელის. ფეხბურთში, ისე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, მთავარი წარმატებაა, ეს უკანასკნელი კი თავისთავად არ მოდის.

**⊙ კმაყოფილი ხართ თუ არა ევროპის საკლუბო ტურნირებში ბერლინის „დინამოს", ლაიფციგის „ლოკომოტივისა" და დრეზდენის „დინამოს" კენჭისყრის შედეგებით?**

— „ბორდო", „მარსელი" და მოსკოვის „სპარტაკი" ევროპის საუკეთესო კლუბებია. მეტოქენი უბრძოლველად არაფერს დათმობენ. ასე რომ, სეზონის დასაწყისშივე გამოჩნდება, როგორ მოემზადნენ ჩვენი გუნდები.

**⊙ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გადამწყვეტ ფაზაში შედის. როგორია გდრ-ის ნაკრების შანსები გათამაშების ამ ეტაპზე?**

— საქმეში ჩახედული ადამიანი დაბეჯითებით იტყოდა, რომ საბჭოთა ნაკრებს თითქმის განაღდებული აქვს ფინალური თამაშების საგზური, მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ ფეხბურთი არაორდინალური თამაშია. ასე რომ, ჩემპიონატში შეიძლება ბევრი რამ გაუთვალისწინებელი მოხდეს. ჩვენთვის მთავარია საპასუხო მატჩში დავამარცხოთ სსრკ-ის ნაკრები. თუ ეს შევძელით, მომავალზე მაშინ ვიფიქრებთ.

**მასალა მოამზადა**
**მალხაზ რადიანმა.**

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩოგბურთში

## ფინალისტები

**ჩოგბურთელთა** საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალურმა შეხვედრებმა ტალინის სპორტის მოყვარულთა უჩვეულო ინტერესი გამოიწვია. ეს გასაგებიცაა. ერთ-ერთ შეხვედრაში ფინალში გასასვლელად იბრძოდა 19 წლის ტალინელი ოსტატი ანდრეს ვისანდი. მას მოსკოველი ალექსანდრე ზვერევის სახით საკმაოდ ძლიერი და ტიტულოვანი მეტოქე ჰყავდა, საკმარისია ითქვას, რომ ზვერევს საკავშირო პირველობა სამჯერ აქვს მოგებული, ვისანდი კი დიდი ჩოგბურთის სარბიელზე, ფაქტიურად, წლეულს პირველად გამოვიდა.



და მაინც, ბრძოლა უაღრესად მძაფრი და დაძაბული იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეოთხე პარტიის გადამწყვეტ გეიმში (ტაიბრეკში) ჩვენი ჩემპიონატებისთვის ქულების სარეკორდო რაოდენობა გათამაშდა — 21:19. მატჩი გამოცდილმა ზვერევმა მოიგო — 6:4, 3:6, 6:3, 7:6.

ვაჟთა ტურნირის მეორე ფინალისტმა მოსკოველმა ანდრეი ჩესნოკოვმა თავის მეტოქეს ალექსანდრე დოლგოპოლოვს შედარებით იოლად სძლია — 6:2, 6:2, 7:6.

გამოვლინდნენ ქალთა ფინალური შეხვედრის მონაწილენი. ეს უფლება შარშანდელმა ჩემპიონმა, მინსკელმა ნატალია ზვერევამ და მოსკოველმა ვიქტორია მილვიდსკაიამ მოიპოვეს. ზვერევამ თბილისელ ლეილა მესხს მხოლოდ სამ პარტიაში აჯობა — 6:4, 0:6, 6:2, მილვიდსკაიამ კი ადვილად დაჯაბნა თავისი თანაქალაქელი ნატალია ბიკოვა — 6:0, 6:2.



# მთავარი მატჩი

**„დინამოს"** კალათბურთელთა ცენტრალური საბჭოს პირველობის მთავარი მატჩი გასულ პარასკევს გათამაშდა. ერთმანეთს თბილისისა და მოსკოვის თანაკლუბელები შეხვდნენ. ბრძოლის ბედი, ფაქტიურად, პირველ ტაიმში გადაწყდა, რომელიც მოსკოველებმა 11 ქულით მოიგეს — 56:45. შესვენების შემდეგაც ინიციატივას სტუმრები ფლობდნენ და ბოლოს გამარჯვებასაც მიაღწიეს — 117:93.

მოსკოველთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი კორნიშინი იყო — 18 ქულა. თბილისის გუნდს სანაძემ 20 ქულა შესძინა, დარსაძემ და ბოროდაჩოვმა — 14-14, ოპოშნიანმა — 13, კაპუსტინმა კი 12. თბილისელთა რიგებში ამჯერადაც ითამაშეს ახალგაზრდა კალათბურთელებმა კახა შენგელიამ და დათო უსტიაშვილმა.

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი ტური: მოსკოველებმა დაამარცხეს ფრუნზელი კალათბურთელები — 111:94 (52:32), ხოლო თბილისელებმა სძლიეს ჩელიაბინსკელებს — 114:59 (61:10).

28 აგვისტოს თბილისის „დინამო" ჩეხოსლოვაკიაში გაემგზავრება და იქ სოციალისტური ქვეყნების დინამიადაში იასპარეზებს.

# ლიდერთა ჯგუფი უცვლელია

**იუგოსლავიის** ქალაქ ზაგრებში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირი. 11 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 7,5 ქულა, იან ელვესტი — 7 (1), იასერ სეირავანი (აშშ) — 7, პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — 6,5 (1), ხულიო გრანდა (პერუ) — 6,5, ეუგენიო ტორე (ფილიპინები) — 6.

# ვადაზე ადრე

**იუგოსლავიის** ქალაქ ტუზლაში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირის დამატებითი მატჩი (6 პარტია), აგნეშკა ბრუსტმანსა (პოლონეთი) და ლიდია სემიონოვას შორის.

აგნეშკა ბრუსტმანმა V პარტიაში დაამარცხა მეტოქე და ვადამდე მოიპოვა პრეტენდენტთა ტურნირის მესამე საგზური. ანგარიში გახდა 4:1 მის სასარგებლოდ.

## საჭადრაკო კომპოზიცია

### ურთიერთგადაკეტვა

**კომპოზიციის** ისტორია მდიდარია თავისი „აღმოჩენებით", რომელთა გარეშეც დღეს წარმოუდგენელია საჭადრაკო ამოცანების და მისი სკოლების განვითარება.

1850 წელს გაზეთ „ილუსტრეიტედ ლონდონ ნიუსში" დაიბეჭდა ინგლისელი პრობლემისტის უოლტერ გრიმშოუს (1832-1890) ხუთსვლიანი ამოცანა. მართალია, მას თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით ისეთი ნაკლი გააჩნია, რომ დღეს არც ერთი რედაქტორი არ დაბეჭდავდა. მაგრამ სწორედ ამ ნაწარმოებმა დასაბამი მისცა ფიგურების ურთიერთგადაკეტვის იდეის ციკლს, რამაც დიდად შეუწყო ხელი სამოცანო თეორიის შექმნას და საჭადრაკო პოეზიის საერთო აღმავლობას. ჰოლანდიელმა პრობლემისტმა და კომპოზიციის ისტორიკოსმა ჰ. ვენინკმა ეს იდეა შემდგომ მინიატურულ ფორმაში გამოხატა.

ჰ. ვენინკი. 1917



შამათი 2 სვლაში

ამოცანას ხსნის 1. ლc4 (მუქარით 2. ლ:c7X), შავების ძირითადი დაცვითი თამაში ზემოთ აღნიშნულ მუქარას სპობს, მაგრამ სამაგიეროდ ფიგურების სამოქმედო ხაზების გადაკეტვებს და ახალ შამათებს იწვევს: 1. ...c5 2. ლe6X, 1. ...c6 2. ლd4X, 1. ...კc5 2. ლb4X. ორი უკანასკნელი ვარიანტი საერთო იდეას შეიცავს. სახელდობრ, პაიკი და კუ (განსხვავებულად მავალი ერთი ფერის ფიგურები) ერთსა და იმავე კრიტიკულ c6 უჯრაზე ერთმანეთს ეღობებიან. ურთიერთგადაკეტვის სწორედ ამ სახეს **გრიმშოუს თემა** ეწოდება.

ამ აღმოჩენიდან ოთხი წლის შემდეგ გაზეთ „ლაიპციგერ ილუსტრირტე ცაიტუნგში" გამოქვეყნდა ავსტრიელი პრობლემისტის ანტონ ნოვოტნის (1829-1871) ამოცანები, სადაც ერთ უჯრაზე ფიგურების ურთიერთგადაკეტვა უკვე ფიგურის შეწირვით იყო განპირობებული. მოგვყავს ამ იდეის მარტივი და დახვეწილი ნიმუში, რომელიც არისტოკრატ (ე. ი. უპაიკო!) მინიატურას წარმოადგენს.

ჰ. ბელე. 1947



შამათი 4 სვლაში

1. მd8 (მუქარით 2. ეb7+) კe4+ 2. მფg7 ეc4 3. მc6+! და იმის მიხედვით, თუ რომელი შავი ფიგურა აიღებს c6 უჯრაზე შეწირულ მხედარს, თეთრები შესაბამისად ითამაშებენ: 4. ლb7X ან 4. ლc7X.

როგორც შემდეგ გაირკვა, ანალოგიური [illegible] უფრო ადრე [illegible] ერთ ამოცანაში, მაგრამ მაშინ იგი შეუმჩნეველი დარჩა ([illegible] დგენის სადაო შემთხვევები არც თუ იშვიათია საერთოდ აღმოჩენების ისტორიაში!). ვინაიდან ა. ნოვოტნიმ პირველად შექმნა ამ იდეაზე ამოცანების სერია და მასზე ყურადღება გაამახვილა, თემა სამართლიანად ატარებს მის სახელს.

ჰ. ბინცერი. 1930



შამათი 4 სვლაში

ამოხსენით და მოგვწერეთ, ვისი იდეაა გატარებული ამ ნაწარმოებში? ველით თქვენს პასუხებს.

### ამოხსნა

**„ლელოს"** 2 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ფ. ამელუნგის ექვსსვლიანი ამოცანა, რომლის ამოხსნაა: 1. მf3 კe1 2. მ:e1 მფh4 3. h3 მფh5 4. მd3 მფh4 5. მf4 h5 6. მg5X.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც ყველაზე ადრე გამოგზავნა პასუხი: შ. თევზაძე (სამტრედია), ჰ. ნიშნიანიძე (ახალი თერჯოლა, თერჯოლის რ.), გ. მამფორია (ჩხოროწყუ), მ. ყაულაშვილი (რუსთავი), ო. მამულაშვილი, ა. ზონაძე (ორივე — თბილისი).

ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

**დღეს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე ჩატარდება დოღი წმინდასისხლიანი და ახალთეკური ცხენებისათვის.**

**გათამაშდება დიდი ტრადიციული ჯილდოები, მათ შორის დერბი. იმუშავებს ტოტალიზატორი.**
**გათამაშდება ლატარეა 2 ავტომანქანა ჟიგულის ურიგოდ შეძენაზე.**
**დასაწყისი 12 საათზე.**



**ბრისბენი.** ავსტრალიის ამ ქალაქში გამართულ მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირში 18 წლის ამერიკელმა დეივ უორტონმა 400 მ კომპლექსურ ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.16,12. ეს შედეგი 1,29 წამით უკეთესია ალექს ბოუმენის (კანადა) ძველ რეკორდზე.

**მოსკოვი.** 4 კმ. გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონი ლენინგრადელი ველოსიპედისტი ვიაჩესლავ ეკიმოვი გახდა. ფინალში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა თავის მთავარ მეტოქეს კლაიპედელ გინტაუტას უმარასს აჯობა — 4.35,650. სხვათა შორის, ეს სპორტსმენები მსოფლიო ჩემპიონატების ფინალის უცვლელი მონაწილენი იყვნენ. გამარჯვებას, როგორც წესი, ლენინგრადელი ველოსიპედისტი აღწევდა. მესამე საპრიზო ადგილი ასევე კლაიპედელ არტურას კასპუტისს ხვდა წილად — 4.38,980.

**ინფორმაცია**

**კიევი.** საბჭოთა კავშირისა და ნიკარაგუას ბეისბოლისტთა მეორე მატჩშიც გამარჯვება სტუმრებს დარჩათ — 17:0. ნიკარაგუას ნაკრები ჩვენს ქვეყანაში კიდევ ოთხ შეხვედრას ჩაატარებს — ერთს უკრაინისა და სამს სსრ კავშირის ნაკრებთან.

### დღეისათვის...

**როგორც** ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია აღნიშნული, მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი ვაჟების „რანგლისტი" დღეისათვის ასეთია: 1. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 2. ვილანდერი, 3. ედბერგი (ორივე — შვეცია), 4. ბეკერი (გფრ), 5. მეჩირი (ჩეხოსლოვაკია), 6. კონორსი (აშშ), 7. კეში (ავსტრალია), 8. კარლსონი (შვეცია), 9. მაკინროუ (აშშ), 10. ნოა (საფრანგეთი) და ა. შ.

### ეკრანზე და ეთერში...

**ცენტრალური ტელევიზია. 16 აგვისტო.** რიტმული ტანვარჯიში — **9.15 (2)**; „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.15 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ჩოგბურთში (გადაცემა ტალინიდან) — **19.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) — **20.00 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **0.30 (1)**.

**17 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სპორტის სახეობებში — **21.15 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 16 აგვისტო.** საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მიმოხილვა — **12.20**; საფეხბურთო მიმოხილვა — **0.30**.

**საქართველოს რადიო. 16 აგვისტო.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — **14.30**.

### კვირიდან კვირამდე

**„ტრუდი"** — 11 აგვისტო. „ზენიტი" იწყებს ნოლიდან". ფეხბურთელების მოთხოვნით შეიცვალა გუნდის უფროსი მწვრთნელი. რატომ? ამაზე მოგვითხრობს ჟურნალისტი ა. გერვაში.

**„იზვესტია"** — 15 აგვისტო. „მსოფლიოს ნაკრების მეკარე". ინტერვიუ რინატ დასაევთან.

**„სობესედნიკი"** — № 32. „ცხელი აგვისტო". 21 აგვისტოს კიშინიოვში სტარტს აიღებს ფეხბურთელ ქალთა პირველი საკავშირო ტურნირი „სობესედნიკის" პრიზზე. ამის შესახებ მოგვითხრობს ა. ხანცევიჩი.

**„სოვეტსკი სპორტი"** — 9 აგვისტო. „როგორ არიან ჩვენები ამერიკაში?" კორესპონდენტი ე. რერიხი ტელეფონით ესაუბრება სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ა. გომელსკის.

**12 აგვისტო.** „გაერთნენ..." ახალგაზრდა მოცურავეებს ვილნიუსის აუზში რეკორდები არ დაუმყარებიათ, სასტუმროში კი...

**15 აგვისტო.** „უკანასკნელ ნაპირზე". ინტერვიუ ამერიკელ მოცურავე ლინ კოქსთან, რომელმაც ბერინგის სრუტე გადაცურა.

# ახლა მხოლოდ გუნდურში

**თანამედროვე** ხუთჭიდელთა მსოფლიო პირველობაზე, რომელიც საფრანგეთის ქალაქ მულენში გრძელდება, გაიმართა ასპარეზობა 300 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, რის შემდეგ საბჭოთა გუნდმა უფრო გაზარდა ქულათა სხვაობა და უახლოეს მეტოქეს — პოლონეთის ნაკრებს 244 ქულით უსწრებს.

პირადი პირველობის ლიდერმა, დინამოელმა იგორ შვარცმა კი თავისი პოზიცია დაუთმო უნგრელ ლასლო ფაბიანს (მათ შესაბამისად 3376 და 3396 ქულა აქვთ), მესამე ადგილზეა ფრანგი ჟოელ ბუზუ (3284), მეოთხეზე—ანატოლი ავდეევი (3258).

ამ დღეს ხუთჭიდელთა დაძაბული ბრძოლის გამო აუზში წყალი „დუღდა" და ცისფერ ბილიკებზე პრიზიორებმა მაღალი ქულები დაიმსახურეს. იტალიელმა ჩეზარე ტორალდომ — 1344, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა გრეჰემ ბრუკჰაუზმა — 1336, ფრანგმა კრისტოფ რიურმა — 1320.

| „სპორტპროგნოზი" 34-ე ტირაჟი (22-24 აგვისტო) | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 1. „ფაკელი" (ვორონეჟი) — „კუზბასი" (კემეროვო) | 22.VIII | 50 | 30 | 20 |
| 2. „როტორი" (ვოლგოგრადი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 22.VIII | 20 | 50 | 30 |
| **ევროპის ჩემპიონატი წყალბურთში (საფრანგეთი)** | | | | |
| 3. სსრკ — უნგრეთი | 22.VIII | 50 | 30 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 4. ცსკა — „ნეფთჩი" (ბაქო) | 23.VIII | 50 | 30 | 20 |
| **ევროპის ჩემპიონატი წყალბურთში (საფრანგეთი)** | | | | |
| 5. იუგოსლავია — სსრკ | 23.VIII | 40 | 20 | 40 |
| **ევროპის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში ვაჟთა გუნდებს შორის (მოსკოვი)** | | | | |
| 6. ინგლისი — შოტლანდია | 23.VIII | 50 | 20 | 30 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 7. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო" (თბილისი) | 24.VIII | 60 | 20 | 20 |
| 8. „შახტიორი" (დონეცკი) — „გურია" (ლანჩხუთი) | 24.VIII | 70 | 20 | 10 |
| 9. „დინამო" (მოსკოვი) — „არარატი" (ერევანი) | 24.VIII | 40 | 40 | 20 |
| 10. „ქაირათი" (ალმა-ათა) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 24.VIII | 20 | 20 | 60 |
| 11. „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (კიევი) | 24.VIII | 20 | 40 | 40 |
| 12. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ტორპედო" (მოსკოვი) | 24.VIII | 40 | 20 | 40 |
| 13. „დინამო" (მინსკი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) | 24.VIII | 70 | 20 | 10 |

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

„ლელოს" რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან ღვაწლმოსილი ჟურნალისტის, გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელი მდივნის,

**ვაჟა ტრიფონის ძე ჯალალანიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07102